



თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

სტუდენტის ეთიკის კოდექსი

თბილისი,
2020 წელი



მუხლი 1. სტუდენტის ეთიკის კოდექსის პრინციპები

- 1.1. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელი აქტებით მისთვის მინიჭებული უფლებებით.
- 1.2. სტუდენტი სრულად იზიარებს უნივერსიტეტის წესდების, გამოცდების ჩატარების წესს, სტუდენტის ეთიკის კოდექსით და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებულ დებულებებს, ღირებულებებსა და პრინციპებს და განუხრელად იცავს მათ.
- 1.3. სტუდენტის ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო განიხილავს სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს, ხოლო სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს მიღებული გადაწყვეტილება.
- 1.4. უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ სტუდენტი არის თავისუფალი და დამოუკიდებელი პიროვნება და აქვს უნარი, თავად შეაფასოს საკუთარი ქცევა და განსაზღვროს ამ ქცევის შედეგები.
- 1.5. სტუდენტის მიმართ დისციპლინური ზომები გამოიყენება ამ კოდექსით დადგენილი ეთიკის საერთო წესებისა და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესების დარღვევის შემთხვევაში.
- 1.6. სტუდენტი ვალდებულია გაეცნოს და დაიცვას სტუდენტის ეთიკის კოდექსი. სტუდენტის ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებზე ინფორმაციის არქონა არ ანთავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან.

მუხლი 2. სტუდენტის ვალდებულებები

- 2.1. სტუდენტი პატივს სცემს საკუთარი და სხვა ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ღირსებას, ასევე მათ პირად ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს.
- 2.2. აკრძალულია სხვა პირის დისკრიმინაცია ან მისადმი არატოლერანტული დამოკიდებულობა ნებისმიერი განსხვავებულობის გამო - რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, რწმენის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, პოლიტიკური გაერთიანების წევრობის, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, კულტურული კუთვნილების, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ცხოვრების წესის, დაბადების ადგილის, ასაკის ან ნებისმიერი სხვა ნიშნის საფუძველზე.
- 2.3. სტუდენტი პატივს სცემს უნივერსიტეტის სახელს, პატივსა და საქმიან რეპუტაციას, ასევე, უფრთხილდება უნივერსიტეტის ქონებას.
- 2.4. სტუდენტი პატივს სცემს სხვა სტუდენტების სწავლის უფლებას.
- 2.5. სტუდენტი აღიარებს და იცავს უნივერსიტეტის წესდებით, გამოცდების ჩატარების წესით, უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებითა და ამ კოდექსით დადგენილ წესებსა და პირობებს.



მუხლი 3. ეთიკის საერთო წესები

- 3.1. ეს კოდექსი ადგენს სტუდენტის ეთიკის საერთო წესებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტისათვის.
- 3.2. ეთიკის საერთო წესების დარღვევად მიიჩნევა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ (თუ ქმედება განხორციელებულია უნივერსიტეტის ან სტუდენტების მიერ ორგანიზებულ აკადემიურ ან სხვა ღონისძიებაზე) განხორციელებული შემდეგი ქმედებები:
 - 3.2.1. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა;
 - 3.2.2. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ვიდეო გადაღება, სთრიმინგი (პირდაპირ ეთერში გადაცემა) აკადემიური პერსონალის/ლექტორის და აუდიტორიის თანხმობის გარეშე;
 - 3.2.3. თამბაქოს/ელექტრო სიგარეტის მოწევა უნივერსიტეტის შენობაში ან საამისოდ ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;
 - 3.2.4. ალკოჰოლური სასმელების შეტანა, გავრცელება ან/და მოხმარება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, თუ ღონისძიება სპეციალურად არ არის ორგანიზებული ან ნებადართული უნივერსიტეტის მიერ;
 - 3.2.5. აზარტული თამაშების ორგანიზება ან მათში მონაწილეობის მიღება;
 - 3.2.6. უნივერსიტეტის სახელის, პატივის ან საქმიანი რეპუტაციას შელახვა, უნივერსიტეტის ქონების დაზიანება;
 - 3.2.7. უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება;
 - 3.2.8. დემონსტრაციული ბილწისტყვაობა;
 - 3.2.9. სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა პირისათვის;
 - 3.2.10. სხვა პირის მიმართ ძალადობა ან მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება;
 - 3.2.11. ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა, გავრცელება ან/და გამოყენება;
 - 3.2.12. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცეცხლსასროლი/ცივი იარაღის შეტანა, გამოყენება, სხვისთვის გადაცემა;
 - 3.2.13. ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შეტანა, გამოყენება, გავრცელება ან სხვისთვის გადაცემა, რომლებიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;

3.2.14. სხვა პირზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, დაშინება ან მორალური ზემოქმედება, მათ შორის აკადემიური საკითხების გადაწყვეტის მიზნით.

3.2.15. სხვა პირის დისკრიმინაცია (დისკრიმინაციად ითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით, ამ კოდექსის 2.2 პუნქტში მოცემული საფუძვლით).

3.2.16. სხვა სტუდენტის საკუთრების ხელყოფა, დაზიანება ან განადგურება; ასევე, სხვა სტუდენტის საკუთრების უფლების რაიმე სახით შეზღუდვა, მათ შორის, ნივთის დაუფლება და ფაქტობრივი ფლობა მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, ნივთის მოტყუებით გამორთმევა ან გამოძალვა, ან ნივთის ბედის სხვაგვარი გადაწყვეტა, ასევე ზემოაღნიშნულ ქმედებათა მცდელობა, მათ შორის, ჩადენილი მოტყუებით ან მუქარით.

მუხლი 4. პასუხისმგებლობა ეთიკის საერთო წესების დარღვევისათვის

4.1. ამ კოდექსის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის გამო სტუდენტის პასუხისმგებლობის სახესა და ზომას კონკრეტული დარღვევის შინაარსის, ხასიათისა და გარემოებების გათვალისწინებით, განსაზღვრავს უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო.

4.2. ამ კოდექსის 3.2.1 (სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა), 3.2.2. (სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ვიდეო გადაღება, სთრინინგი (პირდაპირ ეთერში გადაცემა) აკადემიური პერსონალის/ლექტორის და აუდიტორიის თანხმობის გარეშე) 3.2.8 (დემონსტრაციული და უხეში ბილწსიტყვაობა) და 3.2.9 (სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა პირისათვის) პუნქტებში აღნიშნული ქმედებების ჩადენისას ეთიკის საბჭო იღებს სტუდენტის წერილობითი გაფრთხილების გადაწყვეტილებას, რომელსაც გადასცემს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. ამ ქმედებების შემჩნევისას, მათი აღკვეთის მიზნით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელსა და აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს სტუდენტს მისცეს ზეპირი გაფრთხილება. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში ან დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, ეთიკის საბჭო განიხილავს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილებას.

4.3. ამ კოდექსის 3.2.7 პუნქტით (უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აკისრებს ჯარიმას - 5 ლარის ოდენობით.

4.4. ამ კოდექსის 3.2.3 პუნქტით (თამბაქოს/ელექტრო სიგარეტის მოწვევა უნივერსიტეტის შენობაში ან საამისოდ ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სტუდენტს აკისრებს ჯარიმას - 100 ლარის ოდენობით. ასევე, უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტის წერილობითი გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება, რომელსაც გადასცემს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

4.5. ამ კოდექსის 3.2.4 პუნქტით (ალკოჰოლური სასმელების შეტანა, გავრცელება ან/და მოხმარება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, თუ ღონისძიება სპეციალურად არ არის ორგანიზებული ან ნებადართული უნივერსიტეტის მიერ) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სტუდენტს აკისრებს ჯარიმას - 50 ლარის ოდენობით. ასევე, უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტის წერილობითი გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება, რომელსაც გადასცემს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში ან დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, ეთიკის საბჭო განიხილავს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილებას.

4.6. ამ კოდექსის 3.2.5 პუნქტით (აზარტული თამაშების ორგანიზება ან მათში მონაწილეობის მიღება) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სტუდენტს აკისრებს ჯარიმას - 100 ლარის ოდენობით. ასევე, უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტის წერილობითი გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება, რომელსაც გადასცემს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში ან დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, ეთიკის საბჭო განიხილავს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილებას.

4.7. ამ კოდექსის 3.2.6 პუნქტით (უნივერსიტეტის სახელის, პატივის ან საქმიანი რეპუტაციის შელახვა, უნივერსიტეტის ქონების დაზიანება) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო განსაზღვრავს და სტუდენტს აკისრებს მიყენებული ზიანის პროპორციულ ჯარიმას. ამასთან, სტუდენტი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს დაზიანებული საკუთრების ღირებულება. ასევე, უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტის წერილობითი გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება, რომელსაც გადასცემს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში ან დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, ეთიკის საბჭო განიხილავს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილებას.

4.8. ამ კოდექსის 3.2.10 პუნქტით (სხვა პირის მიმართ ძალადობა ან მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას:

4.8.1. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აღნიშნულ ფაქტს ატყობინებს პოლიციას;

4.8.2. უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

4.8.2.1. სტუდენტს მისცეს წერილობითი გაფრთხილება;

4.8.2.2. სტუდენტს დააკისროს ჯარიმა - 200 ლარამდე ოდენობით;

4.8.2.3. სტუდენტს შეუწყვიტოს სტუდენტის სტატუსი.

4.9. ამ კოდექსის 3.2.11 (ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა, გავრცელება ან/და გამოყენება) 3.2.12 (ცეცხლსასროლი/ცივი იარაღის შეტანა, გამოყენება, სხვისთვის გადაცემა) და 3.2.13 (ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შეტანა, გამოყენება, გავრცელება ან სხვისთვის გადაცემა, რომლებიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის) პუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას:

4.9.1. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აღნიშნულ ფაქტს ატყობინებს პოლიციას;



4.9.2. უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო განიხილავს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საკითხს.

4.10. ამ კოდექსის 3.2.14 პუნქტით (სხვა პირზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, დაშინება ან მორალური ზემოქმედება, მათ შორის აკადემიური საკითხების გადაწყვეტის მიზნით), 3.2.15 პუნქტითა (სხვა პირის დისკრიმინაცია) და 3.2.16 პუნქტით (სხვა სტუდენტის საკუთრების ხელყოფა, დაზიანება ან განადგურება; ასევე, სხვა სტუდენტის საკუთრების უფლების რაიმე სახით შეზღუდვა, მათ შორის, ნივთის დაუფლება და ფაქტობრივი ფლობა მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, ნივთის მოტყუებით გამორთმევა ან გამოძალვა, ან ნივთის ბედის სხვაგვარი გადაწყვეტა) გათვალისწინებული ქმედების განხორციელებისას ეთიკის საბჭო იღებს სტუდენტის წერილობითი გაფრთხილების გადაწყვეტილებას, რომელსაც გადასცემს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. ეთიკის საბჭო უფლებამოსილია დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით მიიღოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში, ეთიკის საბჭო განიხილავს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილებას.

4.11. უნივერსიტეტის ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გადაეცემა უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

4.12. პასუხისმგებლობის სახით ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია მისთვის უნივერსიტეტის ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში დაკისრებული ჯარიმის შესატყვისი თანხა გადარიცხოს უნივერსიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

ს/ნ 211359448

ს.ს. საქართველოს ბანკი

BAGAGE22

ა/ა GE16BG0000000 353107100

მუხლი 5. აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული ეთიკის წესები

5.1. სტუდენტის მიმართ ამ კოდექსით დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები გამოიყენება აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული შემდეგი წესების დარღვევის შემთხვევაში:

5.1.1. აკადემიური თაღლითობა/არაკეთილსინდისიერება - გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, ან ნებისმიერი სახის წინასწარ მომზადებული დამხმარე მასალის, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება ან გამოყენების მცდელობა, რომელიც არ არის ნებადართული, როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ;



5.1.2. პლაგიატი - სხვისი ნამუშევრის, ტექსტის, იდეის, შემოქმედებითი გადაწყვეტის გამოყენება ავტორის და წყაროს მითითების გარეშე ან მისი საკუთრად გასაღება.

5.1.2.1. ნამუშევარში პლაგიატის პროპორცია დანარჩენ ნამუშევართან არ ითვლება პლაგიატის არსებობის განმსაზღვრელ კირტერიუმად.

5.1.2.2. პლაგიატის ფაქტზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა, ან რაიმე აკადემიური პროცედურის დასრულება არ აქარწყლებს პლაგიატის ჩადენაზე პასუხისმგებლობას.

5.1.3. სხვა სტუდენტისათვის ხელის შეშლა სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით; სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა;

5.1.4. სხვა სტუდენტისათვის აკადემიური თაღლითობის ჩადენაში ხელის შეწყობა;

5.1.5. კვლევითი სამუშაოების მონაცემებისა და შედეგების გაყალბება;

5.1.6. ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად გასაღება;

5.1.7. იდენტობის გაყალბების საშუალებით, სხვა პირთან გარიგება გამოცდის ჩაბარების მიზნით;

5.1.8. საგამოცდო მასალების, მათ შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება, ჩაბარებული წერილობითი ნამუშევრის უნებართვოდ ჩანაცვლება, ასევე, გამოცდის მიმდინარეობისას საგამოცდო დავალების ჩანაცვლება.

5.1.9. საუნივერსიტეტო მონაცემების (აკადემიური/ადმინისტრაციული) გაყალბება ან/და გამოყენება;

5.1.10. ლექტორზე, გამომცდელზე, უნივერსიტეტის თანამშრომელზე ზეწოლა შეფასების მიღების მიზნით;

5.1.11. უნივერსიტეტში წარსადგენი დოკუმენტის გაყალბება ან დოკუმენტების არასრულად წარდგენა.

მუხლი 6. პასუხისმგებლობა აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული ეთიკის წესების დარღვევისათვის

6.1. ამ კოდექსის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის გამო სტუდენტის პასუხისმგებლობის სახესა და ზომას კონკრეტული დარღვევის შინაარსის, ხასიათისა და გარემოებების გათვალისწინებით, განსაზღვრავს უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო.

6.2. ამ კოდექსის 5.1.1 პუნქტით (აკადემიური თაღლითობა/არაკეთლსინდისიერება), 5.1.2 პუნქტით (პლაგიატი), 5.1.6 პუნქტით (ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად გასაღება), 5.1.7 პუნქტით (იდენტობის გაყალბების საშუალებით, სხვა პირთან გარიგება გამოცდის ჩაბარების მიზნით), 5.1.9 პუნქტით (საუნივერსიტეტო მონაცემების (აკადემიური/ადმინისტრაციული) გაყალბება ან/და გამოყენება), 5.1.8 პუნქტით (საგამოცდო მასალების, მათ შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება, ჩაბარებული წერილობითი ნამუშევრის უნებართვოდ ჩანაცვლება, ასევე გამოცდის მიმდინარეობისას საგამოცდო დავალების ჩანაცვლება) გათვალისწინებული ქმედებისათვის ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილებით სტუდენტს შესაბამის საგანში/სასწავლო კურსში ეწერება შეფასება F და იღებს წერილობით გაფრთხილებას. ეთიკის საბჭო უფლებამოსილია დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით მიიღოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში, ეთიკის საბჭო განიხილავს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილებას დარღვევის სიმძიმის გათვალისწინების გარეშე. ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილება გადაეცემა უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

6.3. ამ კოდექსის 5.1.3 პუნქტში (სხვა სტუდენტისათვის ხელის შეშლა სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით; სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას ეთიკის საბჭო იღებს სტუდენტის წერილობითი გაფრთხილების გადაწყვეტილებას, რომელსაც გადასცემს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. ეთიკის საბჭო უფლებამოსილია დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით მიიღოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში, ეთიკის საბჭო განიხილავს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილებას დარღვევის სიმძიმის გათვალისწინების გარეშე.

6.4. ამ კოდექსის 5.1.4 პუნქტით (სხვა სტუდენტისათვის აკადემიური თაღლითობის ჩადენაში ხელის შეწყობა), 5.1.5 პუნქტით (კვლევითი სამუშაოების მონაცემებისა და შედეგების გაყალბება), 5.1.10 პუნქტით (ლექტორზე, გამომცდელზე, უნივერსიტეტის თანამშრომელზე ზეწოლა შეფასების მიღების მიზნით) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას ეთიკის საბჭო იღებს სტუდენტის წერილობითი გაფრთხილების გადაწყვეტილებას, რომელსაც გადასცემს უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. ეთიკის საბჭო უფლებამოსილია დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით მიიღოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში, ეთიკის საბჭო განიხილავს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილებას დარღვევის სიმძიმის გათვალისწინების გარეშე.

6.5. ამ კოდექსის 5.1.11 პუნქტით (უნივერსიტეტში წარსადგენი დოკუმენტის გაყალბება) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ან შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო აუქმებს ასეთ დოკუმენტზე დაყრდნობით მიღებულ გადაწყვეტილებას, ეთიკის საბჭო განიხილავს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ხოლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს დოკუმენტის გაყალბებასთან დაკავშირებული საკითხის შესწავლის მოთხოვნით.



მუხლი 7. დისციპლინური წარმოების განხორციელების წესი

7.1. ეთიკის საერთო და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესების დარღვევის ფაქტებზე სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრა შეუძლია უნივერსიტეტის აკადემიურ ან პედაგოგიურ საქმიანობაში ჩართულ ნებისმიერ პირს, ასევე, ადმინისტრაციის ნებისმიერ თანამშრომელს.

7.2. უნივერსიტეტი ამ კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ფაქტის შესწავლის მიზნით ახორციელებს დისციპლინურ წარმოებას.

7.3. დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

7.3.1. უნივერსიტეტისაგან მიიღოს შეტყობინება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

7.3.2. დაესწროს მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას, დაიცვას საკუთარი უფლებები დამოუკიდებლად ან წარმომადგენლის მეშვეობით;

7.3.3. მიაწოდოს უნივერსიტეტის ეთიკის საბჭოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

7.3.4. მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის ეთიკის საბჭოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

7.3.5. სასამართლოში გაასაჩივროს უნივერსიტეტის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

7.4. უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია:

7.4.1. მოსთხოვოს სტუდენტს საკუთარი მოქმედების ზეპირი ან/და წერილობითი აღწერა და განმარტება;

7.4.2. მრავალმხრივ და სრულყოფილად გამოიკვლიოს წარდგენილი ინფორმაცია, მტკიცებულებები, გარემოებები;

7.4.3. ამ კოდექსით გათვალისწინებული დარღვევისათვის იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესახებ.

7.5. ეთიკის საბჭო დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების/არ დაკისრების თაობაზე მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც გამოსცემს შესაბამის აქტს.

7.6. ამ კოდექსში აღნიშნული შემთხვევების გარდა, უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ამ კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ზომის შეფარდების შესახებ, ისეთი ქმედების ჩადენის შემთხვევაში, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა



კოდექსისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებას განეკუთვნება.

7.7. სტუდენტის წერილობითი გაფრთხილებიდან 12 თვის გასვლამდე ამ კოდექსით გათვალისწინებული საერთო წესების (მუხლი 3) განმეორებით დარღვევის შემთხვევაში, ეთიკის საბჭო უფლებამოსილია სტუდენტს შეუწყვიტოს სტუდენტის სტატუსი.

7.8. ამ კოდექსში აღნიშნული შემთხვევების გარდა, ეთიკის საბჭო უფლებამოსილია იმსჯელოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე იმ შემთხვევაშიც, თუ სტუდენტის შესახებ რეგისტრირებულია წერილობითი გაფრთხილება.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი

8.1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილებები ამ კოდექსში, რაც არ უნდა ლახავდეს სტუდენტის უფლებებს და არ უნდა იწვევდეს მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის არსის შეცვლას.

8.2. უნივერსიტეტი ვალდებულია ცვლილების შეტანის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

8.3. ამ კოდექსის რომელიმე დებულების ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა გავლენას არ ახდენს კოდექსის სხვა მუხლების იურიდიულ ძალაზე.